**ნინო ძამუკაშვილი**
იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თელავი, საქართველო
ndzamukashvili@yahoo.com;
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.105

# ,,საყვარელო სკოტი“ - ფ. სკოტ ფიცჯერალდის შვილისთვის მიწერილი წერილები

მსოფლიო ლიტერატურა მრავალი თავდადებული მამის სახეს იცნობს. მამის უპირობო და ,,მიუაჩრდილებელმა“ სიყვარულმა ჯერ კიდევ სახარებისეული იგავიდან გამოანათა. მოსიყვარულე და მიმტევებელი მშობელი თავის უძღებ შვილს თბილად და უსაყვედურროდ მიიღებს და მეორე ძესაც მოუწოდებს, რომ ეს დიდი სიხარული გაიზიაროს: ,,შვილო, შენ ყოველთვის ჩემთან ხარ და ჩემი ყველაფერი შენია; ხოლო ახლა მხიარულება და სიხარული გვმართებს, რადგან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“ (ლუკა, 15:11-32). ჩვენი აზრით, ამ იგავში არა ნაკლებ საინტერესო და საგულისხმო მომენტია ისიც, სადაც ნაჩვენებია როგორ ელის გადაკარგულ უმცროს შვილს მამა: ,,და როცა ჯერ კიდევ შორს იყო, დაინახა იგი თავისმა მამამ და შეებრალა და გაიქცა და დაემხო მას ქედზე და ეამბორა მას“ (ლუკა, 15:11-32). ერთ წინადადებაში ჩანს მამის მუდმივი მოლოდინი, მისი პატიების და შეწყალების უნარი, და უკიდეგანო სითბო და სიყვარული. ბიბლიური მამის სახე მრავალი ხელოვანის თუ მწერლის შთაგონების წყარო იქცა და იგავის უამრავი ინტერპრეტაცია მივიღეთ. მაგალითად იკმარებს რემბრანდტის ცნობილი შედევრი ,,უძღები შვილის დაბრუნება“ და გურამ დოჩანაშვილის ,,სამოსელი პირველი“.

ცნობილი მწერლები არა მარტო ქმნიან დიდებული მამების სახეებს, არამედ ზოგიერთი ავტორი ისტორიას შემორჩა, როგორც გამორჩეული, დაუვიწყარი ხატი მშობლისა, რომელთა შვილებისადმი მიწერილი წერილებიც დასტურია, როგორც მშობლის უპირობო სიყვარულისა, ასევე მათი პასუხისმგებლობის უზარმაზარი გრძნობისა შვილების წინაშე. ნებისმიერი შემორჩენილი დოკუმენტური მასალა ღირებულია ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების უკეთ გასაგებად და ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს თავად მწერლის პიროვნების შესაცნობად. მით უმეტეს, თუ საქმე ეხება შვილებისადმი მიწერილ წერილებს, როგორც ყველაზე გულწრფელ და უანგარო ნაწერებს, ეს კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰფენს შემოქმედთა პიროვნებას.

გავიხსენოთ ცნობილი ქართველი მწერალი, პროზის დიდოსტატი და მრავალტანჯული ადამიანი მიხეილ ჯავახიშვილი როგორ წერილს სწერს თავის ქალიშვილს...ეს წერილი ერთგვარ ანდერძად და სხვა მკითხველთათვის სანიმუშო რჩევებად იქცა. თუნდაც ეს სტრიქონები რად ღირს: ,, ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი. მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს. მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი“.

მწერალი მამები მაშინაც ხშირად წერენ შვილებს წერილებს, როცა მათ პირველი სიყვარული ეწვევათ. მიხეილ ჯავახიშვილისა არ იყოს, სახელგანთქმული ამერიკელი პროზაიკოსის ჯონ სტეინბეკის მხოლოდ ეს წერილია ცნობილი, რომელიც მან თავის 14 წლის შვილს, თომს მისწერა. აი, ფრაგმენტი ამ წერილიდან: ,,პირველი, თუ შეყვარებული ხარ, ეს

ძალიან კარგია. ეს ალბათ ყველაზე კარგი რამეა რაც შეიძლება ადამიანს შეემთხვას. არავის მისცე უფლება ეს გრძნობა ან დააკნინოს ან დააპატარავოს... თუ ვინმე გიყვარს, რა არის იმაში ცუდი, რომ ეს აღმოთქვა. ოღონდ გახსოვდეს, რომ მორცხვი ადამიანებიც არსებობენ და ესეც უნდა გავითვალისწინოთ.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო საპასუხო გრძნობას ვერ ვღებულობთ. მაგრამ ამან არ უნდა გახადოს შენი სიყვარული ნაკლებად კარგი და ღირებული".

კიდევ ერთი მწერალი, რომელიც ყოველთვის პოულობდა დროს რომ შვილს შეხმიანებოდა, იყო *,,დიდი გეტსბის"* და *,,ნაზია ღამის"* ავტორი.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი (1896-1940) არა მარტო ამერიკული ლიტერატურის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსია. ყურადღება მის მიმართ არ ნელდება და საინტერესოა, რომ მისი პოპულარობის შკლა ერთგვარი რიტმულობით ხასიათდება. იგი არ არის ადვილად მისაღები ავტორი არც თავისი ნაწერებით და არც თავისი შემოქმედებით და ჩვენი ვარაუდით მისი დამფასებელი თაობა დრო-და-დრო, პერიოდულად წარმოჩინდება ხოლმე. თავად ეგრეთ წოდებული ,,დაკარგული თაობის" ერთ-ერთი მნიშვნლეობავი ფიგურა და მემატიანე, იქცა ნათლიად კიდევ ერთი საინტერესო პერიოდისა მეოცე საუკუნის ,,ჯაზის საუკუნე (Jazz Age) უწოდა. მრავალი მისი პროტაგონისტი თავად ავტორს ჰგავს და ეს არც არის გასაკვირი; მისი ბობოქარი და მოუსვენარი ცხოვრება ბარემ ათობით პერსონაჟს ეყოფოდა. მკითხველთა დიდი უმრავლესობა ახერხებს საკუთარი თავის დანახვას და ამოცნობას ამ საოცარი ოსტატობით შექმნილ პერსონაჟებში. ის იყო ისეთი მწერალი, რომელსაც არასოდეს უთქვამს "არა" თავის პროფესიაზე, მაშინაც კი, როდესაც ის, როგორც ადამიანი, სრულიად გატეხილი იყო. 1936 წლისთვის, როდესაც ცნობილმა ჟურნალმა Esquire-მა გამოაქვეყნა ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის ესეები თავის სამ ნომერში, არსებობდა რამდენიმე დამღუპველი ფაქტორი, რამაც შეარყია ფიცჯერალდის თვითკონტროლი და მიიყვანა იგი დეპრესიამდე: პირველი, ეს იყო მუდმივი ზეწოლა, ადრეულ ასაკში ნაგემი წარმატება არ გახუნებულიყო; შემდეგ, ეს იყო ზელდას პროგრესირებადი ფსიქიკური დაავადება და ბოლოს, მწარე გამოღვიძება მისი "ჯაზის საუკუნის" ახალგაზრდობიდან.

სკოტ ფიცჯერალდს დიდი წარმატება მართლაც საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში ეწვია. ის მხოლოდ 24 წლის იყო, როცა პირველი რომანი *,,სამოთხის ეს მხარე"* (*This Side of Paradise,* 1920) გამოაქვეყნა და იმ დროინდელი ყველა მნიშვნელოვანი კრიტიკოსის ქება დაიმსახურა. პუბლიკაციამ მატერიალური უზრუნველყოფაც მოუტანა და პირველი უარის შემდეგ (რაც სწორედ მისი ფინანსური არასტაბილურობის გამო მიიღო), შეძლო საყვარელ ქალზე დაქორწინება. მისი რჩეული მეტად პოპულარული, ნიჭიერი და სილამაზით განთქმული სამხრეთელი ასული, ზელდა სეირი იყო. 1921 მათი ერთადერთი შვილი ფრენსის სკოტი (Frances Scott) დაიბადა, რომელსაც სიყვარულით ,,სკოტის" (Scottie) ეძახდნენ. მისი მშობლების სიყვარულის და ურთიერთობის ისტორია სხვა სტატიის თემაა და ის ასე ადვილად ამოწურვადი თემა ისედაც არა არის. ასე, რომ დავუბრუნდეთ ისევ მწერლის წერილებს ქალიშვილისადმი.

ფიცჯერალდი რეგულარულად წერდა ქალიშვილს წერილებს. გოგონას, რომელიც პრესტიჟულ კერძო პანსიონებში სწავლობდა, მუდმივად აკლდა მშობლებთან ურთიერთობა. ათი წლის იყო, როდესაც დედა ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს, ხოლო მწერალი მამა ალკოჰოლიზმთან დაკავშირებული პრობლემებით იტანჯებოდა. პირველად წერილების კრებული ქალიშვილისადმი, ზელდასადმი და ასევე რამდენიმე ახლო მეგობარსა და კოლეგისადმი, მწერლის სიკვდილის შემდგომ გამოსცა მისმა ერთგულმა საგამომცემლო

სახლმა სკრიბნერსმა (*The Letters of F. Scott Fitzgerald*, Scribners, 1964). ეს წერილები გარდა იმისა, რომ ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თავად ავტორის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, არის ერთდროულად სულისშემძვრელად თბილი, იუმორისტული და ირონიული ნაზავი სკოტ ფიცჯერალდის დამოკიდებულებისა შვილისადმი.

ტონალობისა არ იყოს, შინაარსის მხრივაც მწერლის წერილები გამოირჩევა კონტრასტული შინაარსის აბზაცებით. მათ შორის თითქოსდა კავშირი არ იგრძნობა და ნაწერი ძალიან მოგვაგონებს ცნობიერების ნაკადის ტექსტს. ამით იგი მხოლოდ და მხოლოდ იგებს და წასაკითხადაც უფრო სახალისო და საინტერესო, ,,რომანივით საკითხავი" ხდება. მაგალითად, ერთ-ერთ ადრეულ წერილში მთელ სამოქმედო გეგმას უსახავს თავის 12 წლის გოგონას. მაგრამ მანამდე აფრთხილებს, რომ ბედნიერება და უბედურებ, როგორც ასეთი, მხოლოდ ხელოვნებაში არსებობსო; ის, რაც მართლა რეალურია, ეს არის ის, რომ კარგი საქციელი მუდამ კარგად გვიფასდება, მაგრამ თუ ჩვენს საქმეს, მოვალეობას უპასუხისმგებლოდ მოვექცევით, სამწუხარო შედეგები მოყვებაო. ამის შემდეგ მამა სწერს:

,, აი, რაზე ღირს თავის შეწუხება:

იმაზე, რომ იყო მამაცი; იმაზე, რომ იყო მოწესრიგებული; იმაზე, რომ შენი შრომის კარგი შედეგი ნახო; იმაზე, რომ კარგად შეგეძლოს ცხენის ჯირითი.

აი, რაზე არ უნდა შეიწუხო თავი:

არ იდარდო ხალხის აზრზე; არ იდარდო თოჯინებზე; არ იდარდო წარსულზე; არ იდარდო მომავალზე; არ იდარდო იმაზე, რომ იზრდები; არ იდარდო იმაზე, თუ ვინმეს ჩამორჩები; არ იდარდო ტრიუმფზე; მარცხზე მხოლოდ მაშინ იდარდე, თუ ის შენს გამო მოხდა; არ იდარდო კოღოებზე; არ იდარდო ბუზებზე; საერთოდ, მწერებზე არ იდარდო; არ იდარდო მშობლებზე; არ იდარდო ბიჭებზე; არ იდარდო იმედგაცრუებაზე; არ იდარდო სიამოვნებებზე; არ იდარდო კმაყოფილებაზე.

აი, რაზე უნდა იფიქრო:

რა არის ჩემი მთავარი მიზანი?

თუ თავს ჩემს თანატოლებს შევადრი, ხომ არ ჩამოვრჩები შემდეგ საკითხებში:

ა) სწავლაში;

ბ) იმაში, თუ რამდენად კარგად მესმის ადამიანების და შემიძლია თუ არა მათთან ურთიერთობა?

გ) იმაში, ვცდილობ თუ არა, რომ ჩემი სხეული ვაქციო სასარგებლო ინსტრუმენტად, თუ თავის ნებაზე მყავს მიშვებული?"

მწერალი მამა მუდმივად არიგებს შვილს, რომელი ავტორები წაიკითხოს. ასევე, დაბეჯითებით სთხოვს ფრანგულში უფრო გულმოდგინედ იმეცადინოს. თავად უსახავს დავალებებს ამა თუ იმ ნაწარმოების მიხედვით. ეს კონკრეტული ფრაგმენტი მისი მეგობრის და ცნობილი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის რომანს *,,მშვიდობით, იარაღო!*" ეხება:

,,არაფერია გაუგებარი ჩემს შეკითხვებში, უბრალოდ ყურადღებით უნდა წაიკითხო. იმედია, გამომიგზავნე უკვე პასუხი მეორე კითხვაზე. მესამე შეკითხვა ბიბლიის ერთ- ერთ წიგნზე ,,ეკლესიასტეზეა" დაფუძნებული. 15 გვერდია ეს წიგნი და რაკი შენს ოთახშიც გაქვს, ოთხ-ხუთ დღეში მეტად გულისყურით უნდა წაიკითხო. მე თუ მკითხავ, შეგიძლია გამოტოვო დიდი სიბრძნეები 766, 767 და 768-ე გვერდებზე. ისინი სხვის მიერ არის დაწერილი და უბრალოდ ჩაკვეხებულია იქ. მაგრამ ყურადღებით წაიკითხე 754-ე გვერდზე პატარა შესავალი... კითხვისას სულ გახსოვდეს, რომ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო რამ რაც ოდესმე დაუწერიათ. ისიც არ გამოგრჩეს, რომ ერნესტ ჰემინგუეიმ თავისი ერთ-ერთი რომანის

სათაური სწორედ მაგედან, მესამე აბზაციდან აიღო. ისე, კაცმა რომ თქვას, მთელი ეგ ნაწილი სათაურებითაა სავსე“. სხვა წერილებიც სავსეა რჩევა-დარიგებებით.

იგი წერს არა მარტო როგორც მზრუნველი მამა, არამედ როგორც მწერალი მომავალ ჟურნალისტს ან იქნებ მწერალსაც. გოგონა უკვე იჩენდა სინტერესს წერისადმი. მომავალში ის მართლაც ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი დადგება. აი, რას ურჩევს შვილს ჰენრი ჯეიმსის და ჯოზეფ კონრადის თაობაზე:

,,მე, რა თქმა უნდა, არ დავიწყებდი ჰენრი ჯეიმსის გაცნობას მისი *„ქალბატონის პორტრეტით“*, რომელიც მის გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის და სავსეა მანიერიზმებით. განა არ ჯობს ჯერ *,,როდერიკ ჰადსონი“* ან *,,დეიზი მილერი“* წაიკითხო? *,,ლორდი ჯიმი“* დიდებული წიგნია - პირველი მესამედი მაინც და თავად ჩანაფიქრიც დიდებულია, თუმცა ის ცოტათი ჩაიკარგა სასამართლოების სცენებში კალკუტაში თუ სადაც იყო. მაინტერესებს, თუ იცი რატომ არის ეს წიგნი კარგი? ,,*კერი*“, ამერიკული რეალიზმის ლამის პირველი წიგნია, ძალიან მაგარია და ისეთივე ადვილად იკითხება, როგორც ჭეშმარიტი აღსარება“.

წლების განმავლობაში დაუზარლად წერდა ქალიშვილს და ხშირად უკმაყოფილო მისი კერძო სკოლის პროგრამით, არც დროს და არც ენერგიას არ იშურებდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მწერლობა გაეცნო შვილისთვის. ისევ წიგნებზე და ზოგადად კითხვაზე:

,,მაინტერესებს, რაიმე წაიკითზე ამ ზაფხულს თუ არა - მართლა კარგ წიგნს ვგულისხმობ, როგორიცაა *,,ძმები კარამაზოვები“* ან *,,ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“* ან რენანის *,,ქრისტეს ცხოვრება“.* არასოდეს არაფერს მწერ შენს საკითხავზე, გარდა იმ ნაწყვეტებისა, რომლებსაც კოლეჯში გადიხართ, იმ მცირე სავალდებულო მონაკვეთებზე. ვიცი, რომ წაიკითხე რამდენიმე წიგნი, რომელიც შარშან ზაფხულს მოგეცი, მას მერე კი არაფერი მსმენია შენგან ამ თემაზე. მაგალითად, წაგიკითხავს, *,,მამა გორიო“* ან *,,დანაშაული და სასჯელი“,* ან თუნდაც *,,თოჯინების სახლი“* ან *,,წმინდა მათე“* ან *,,ვაჟიშვილები და საყვარლები“?* კარგი სტილი თავისით არ ფორმირდება, თუ ყოველწლიურად არ შეისისხლხორცებ ათიოდე უმაღლესი რანგის ავტორს“.

პოეზია ყოველთვის წმიდათაწმიდა სფერო იყო ფიცჯერალდისთვის. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა თუ რა რჩევას აძლევს ამ მხრივ გოგონას:

,,პოეზია ან ცეცხლს ჰგავს, შენში რომ ცოცხლობს; აი, როგორც მუსიკაა მუსიკოსისთვის ან მარქსიზმი კომუნისტისთვის ან კიდევ სულ არაფერი არ არის: სიცარიელე, ფორმალური მოსაწყენი სივრცე სადაც პედანტები გამუდმებით თავიანთ ჩანაწერებს და ინტერპრეტაციებს ჩასჩიჩინებენ“.

სკოტიმ რამდენიმე სკოლა გამოიცვალა. ბოლოს ვასარის პრესტიჟულ კერძო კოლეჯში სწავლობს. დედა უმეტესად ძვირადღირებულ ფსიქიატრიულ კლინიკებში მკურნალობს. ბოლო წლები მამა ქვეყნის მეორე ბოლოში, მეორე ოკეანის სანაპიროზე ცდილობს, რომ ძალა მოიკრიბოს; დაწეროს ის, რაც მის გულს უნდა და ასევე შეთხზას კომერციულად მომგებიანი მოთხრობები, რათა ცოლის მკურნალობის და შვილის სწავლის ფული გადაიხადოს. ეს ძალიან მძიმე წლებია. ფიცჯერალდი თავის დეპრესიას მეტაფორულად ,,*მსხვრევას*“ უწოდებს და ესსების სახით ბეჭდავს ცნობილ ჟურნალ ,,*ესქუაიერში*“. ბევრი მკითხველი ლანძღავს, არ უწონებს პირადი პრობლემების ასე საჯაროდ გამოფენას. ბევრიც უწონებს საქციელს და ტექსტის ნამდვილ, ტრაგიკულ ჟღერადობასთან ერთად მოუწოდებენ სხვებსაც რომ დაინახონ ესეების ლიტერატურული ღირებულებაც. როცა მთელი ლიტერატურული სამყარო სკოტს განაქიქებდა, იგი იმაზე ფიქრობდა მის გოგონას ვინ დახვდებოდა სადგურში.

ამ ქარიშხლიანი პერიოდის დროსაც სკოტი რეგულარულად წერს შვილს თბილ, ირონიულ, იუმორისტულ  და მზრუნველ წერილებს ისე, როგორც მას სჩვევია:

,,ახლა იმ გეგმაზე ვუშაობ, თუ როგორ მოგიწყო საინტერესო საზაფხულო არდადეგები, ნაწილი მაინც. იმედია, ეს გესიამოვნება. მე კი ვფიქრობ ფულიც მექნება ამისთვის, რომ ეს საქმე კარგად დაგვირგვინდეს“.

შვილის აზრი ყველაფრის შესახებ აინტერესებს. დაუღლელად უსვამს ერთი და იგივე შეკითხვას, ოღონდ მისი პასუხი მოისმინოს:

,,წაიკითხე ჩემი სტატია ორსონ უელსის შესახებ ,,*ესქუაიერის*“ ბოლო ნომერში? სახალისო იყო? მითხარი. უკვე მეექვსე წერილია ერთი კითხვისთვის არ გაგიცია პასუხი. გიჯობს მიპსაუხო, თორემ ხუთ დოლარს დაგიქვითავ ჯიბის ფულიდან და გაჩვენებ, რომ ისევ ის ბებერი წუწურაქი ვარ“.

ალკოჰოლი იქცა მწერლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. ეს ბევრმა იცოდა, მაგრამ ფიცჯერალდს უჭირდა ამის სახალხოდ აღიარება. თუმცა მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა, მისი ქალიშვილის ჩათვლით იცოდნენ ამის შესახებ. რამდენიმე თვე ყველასგან განმარტოებით გაატარა და როგორც ირწმუნებოდა, წვეთს არ სვამდა. ისიც იცოდა, რომ ქალიშვილი მასზე ნერვიულობდა. ამიტომ ის ხშირად არწმუნებდა წერილებში:

,,არ ვსვამ“.

,,რა თქმა უნდა, არ ვსვამ და კარგა ხანია ასე ვარ... თანაც ძალიან ბევრს ვმუშაობ და ყველაზე ნაკლებად პრობლემა არ მინდა სამუშაო დღის ბოლოს. იმ დროს, როცა შენს ასაკში და შენს სიტუაციაში, სრულიად ბუნებრივია დღის ბოლოს გართობას რომ ესწრაფვოდე. ამ ყველაფერს იმიტომ გწერ, რომ რომ ამ ბოლო დროს რამდენჯერ დავგეგმეთ შეხვედრა, მოუთმენლადაც ველოდით მაგრამ ყველა გეგმა ჩაგვიფლავდა“.

ფიცჯერალდი ძალიან მგრძნობიარე ნატურა იყო, ყველაფერს ზუსტად გრძნობდა ხოლმე. გრძნობდა, რომ შვილი მის კვალზე წასულიყო და ამიტომ ცდილობდა საკუთარი მაგალითებითაც რაც შეეძლო გაეფრთხილებინა ქალიშვილი, რომ მასაც იგივე შეცდომები არ ჩაედინა. მუდმივად მოუწოდებდა მიზანდასახული ყოფილიყო:

,,იმ საგნებს ნუ აირჩევ, რაშიც იცი რომ ,,ფრიადებს“ მიიღებ; მათ ხომ დამოუკიდებლადაც კარგად ისწავლი. რამე ახალი და მართლა რთული აირჩიე. მაგრად იმუშავე და დაყაბულდი იმას, რა ნიშნებსაც მიიღებ...ეჭვი და წუხილი ძალას გამოგაცლის, უუნაროს გაგხდის, ზუსტად ისევე, როგორც მე გამხადა უუნარო ფულთან უყაირათო დამოკიდებულებამ ან წარსულში ჩემმა თავაშვებულმა საქციელმა.  ეს არის ჩვენი აქილევსის ქუსლი და ის თავისით არასოდეს ჩნდება. რაც დრო გადის უფრო და უფრო მგრძნობიარე კი ხდება. ის მცირედიც კი, რასაც მივაღწიე, მეტად მუყაითი და ქანცისგამწყვეტი შრომით შევძელი“.

მიუხედავად, იმისა რომ ძალიან ცდილობს შვილი დაიცვას იმ განსაცდელებისგან რაც მან თავად გამოიარა, მაინც ურჩევს ქალიშვილს, რომ სინამდვილეს ყოველთვის თვალი გაუსწოროს. მშობელი ენას არ უჩლექს და ესაუბრება ყველაფერზე, თითქოდა დედის დანაკლისიც უნდა შეავსოს. ერთ-ერთ წერილში იგი უზიარებს შვილს იმ მნიშვნელოვან შეხედულებას, რომელიც მისი აზრით ყველა დიდ წიგნში დევს:

,,იმის შეგრძნება, რომ ცხოვრება ერთი დიდი ტყუილია და მისი გარდაუვალი შედეგი დამარცხებაა და ის, რომ ამ ყველაფერის საპირწონედ ,,ნეტარება და სიამოვნება“ კი არ არის, არამედ ღრმა, ნამდვილი კმაყოფილების განცდა, რაც მიზნისთვის ბრძოლას მოაქვს“.

მძიმე თემებზე საუბრის დროსაც კი სკოტს არ ავიწყდება, რომ იუმორითაც უნდა გაუმასპინძლდეს თავის გოგონას:

,, ეს რა ტილიან სამყაროში ვცხოვრობთ, არა? ეს წუთია ,,*ლაიფის*“ ნომრის კითხვა დავამთავრე და ბორის კარლოფის ფილმზე მივრბივარ ცოტა რომ გუნებაზე მოვიდე. სათაურიც ისეთი აქვს, მადას აღგიძრავს ,,გვამი საუზმის კერძში“.

და ბოლოს, ისევ იმ წერილით დავასრულოთ, სადაც ისევ და ისევ ამხნევებს შვილს და მწერლობის რაობაზე თავის აზრებს უზიარებს. ისევ და ისევ სთხოვს ესა თუ ის ნაწარმოები წაიკითხოს და შემდეგ შთაბეჭდილებები გაუზიაროს:

,,ხომ არ წაიკითხავდი იმ ლექსს ჩემი ხათრით და მერე შენს აზრს მომწერდი?

გთხოვ, ოდნავადაც არ დაყარო ფარხმალი თუ შენი ნაწერი საუკეთესოთა შორის არ მოხვდა. ამავე დროს, არც შენ წაქეზებას შევეცდები. რადგან, ბოლოს და ბოლოს, თუ გინდა ამ დიდ რბოლაში ყოფნა, შენი საკუთარი სამანი უნდა დასახო და იმას გადაახტე და ისწავლო საკუთარი გამოცდილებიდან. არავინ არ გამხდარა მწერალი მხოლოდ იმიტომ, რომ მწერლობა უნდოდა. თუ რაიმე სათქმელი გაქვს, ისეთი რომელსაც გრძნობ, რომ ჯერ კაციშვილს არ უთქვამს, ამას ისე თავგანწირულად უნდა გრძნობდე, რომ ამის სათქმელად გზა გამონახო. თანაც ისეთი გზა, რისთვისაც ჯერ არავის მიუგნია. და ეს ორივე რამ, შენი სათქმელი და შენი არჩევანი, თუ როგორ აპირებ ამის თქმას, ისე იქნება შერწყმული განუყოფლად, თითქოს თავიდანვე ასე ერთად აღმოცენდაო.

არასოდროს მდომებია, რომ შენც მწერლობაში წასულიყავი, მაგრამ თუ ნამდვილად ეს განგიზრახავს, მინდა ამ გზას იმ ცოდნით აღჭურვილი დაადგე, რომლის შესაძენადაც თავად წლები დამჭირდა“.

მწერალი სკოტ ფიცჯერალდი შვილისადმი მიწერილ წერილებში სხვა კუთხითაც გამოჩნდა; გარდა იმისა, რომ ის მეტად მზრუნველი მშობელია და მუდმივად ცდილობს შვილის ყოფითი პრობლემების გადაჭრაში დაეხმაროს, ის ყველაზე მეტად ცდილობს აღზარდოს შვილში ძლიერი, განათლებული, თანამგრძნობი, მამაცი, მიზანდასახული სული, რომელიც ნებისმიერი პროფესიის არჩევის შემთხვევაში დარჩება უპირველეს ყოვლისა როგორც ღირსეული ადამიანი.

**ლიტერატურა:**


1. ბიბლია (2013). გამომცემლობა ,,კვირის პალიტრა“. თბილისი.
2. ჯავახიშვილი მ. წერილი ქალიშვილს. https://burusi.wordpress.com/2009/05/07/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9A-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/
3. The Letters of F. Scott Fitzgerald, (1964). Scribner publishung. New York.
4. Steinbeck J., letter of fatherly advice to his son. https://www.penguin.co.uk/articles/2015/11/read-john-steinbeck-s-letter-of-fatherly-advice-to-his-son



**Nino Dzamukashvili**
Iakob Gogebashvili State University
Telavi, Georgia

**Dear Scottie – F. Scott Fitzgerald's Letters to his Daughter**

Abstract

Our article aims at a brief literary analysis of the letters written by Francis Scott Fitzgerald, the famous American writer to his only child, Scottie. Despite his short life (1896-1940), Fitzgerald left an indelible mark not only on English-language literature, but also on world literature. His novels and short stories have been translated into many languages of the world. And the new screen adaptation of his masterpiece "*The Great Gatsby"* once again opened the door for the writer in the hearts of millions of modern youth. The writer's biography is no less impressive than the lives of his most reckless characters. Fitzgerald's life was full of adventures and extremes. He had periods of carefree life and days when he had to constantly ask his literary agent for an advance. Scottie, his only daughter, was the brightest point of his life, born to him by his wife, the beautiful and talented Zelda Sayre. Dozens of letters written to Scott reveal the truest and most intimate side of the writer - the father figure and that of the role of the father - for which he never betrayed.